საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2227-03
15/11/2023

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“, „ციფრული ჰუმანიტარია“, „ისტორია“, „არქეოლოგია“, „კულტურის კვლევები“, „პოლიტიკის მეცნიერება“, „ფილოსოფია“, „სოციოლოგია“, „ფსიქოლოგია“, და „სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია“ 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე, აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 28 დეკემბრის №14 სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების“ მე-5 და მე-6 მუხლების, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 14 ნოემბრის N20007-35 წარდგინების საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მიღება 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

ა) ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა - 6 ვაკანტური ადგილი;

ბ) ციფრული ჰუმანიტარია - 2 ვაკანტური ადგილი;

გ) ისტორია - 4 ვაკანტური ადგილი;

დ) არქეოლოგია - 2 ვაკანტური ადგილი;

ე) კულტურის კვლევები - 4 ვაკანტური ადგილი;

ვ) პოლიტიკის მეცნიერება - 4 ვაკანტური ადგილი;

ზ) ფილოსოფია - 1 ვაკანტური ადგილი;

თ) სოციოლოგია - 3 ვაკანტური ადგილი;

ი) ფსიქოლოგია - 5 ვაკანტური ადგილი;

კ) სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია - 3 ვაკანტური ადგილი.

2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულ სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ 2023 წლის 16 ნოემბრიდან 6 დეკემბრის 18:00 საათამდე. ქვემოთ მითითებული დოკუმენტები უნდა გამოაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე phd@iliauni.edu.ge . ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო დოკუმენტები უნდა გაიგზავნოს ერთხელ, ერთ საქაღალდედ აკინძული PDF - ფორმატში, წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატის საბუთები არ განიხილება, მიღება დადასტურდება ფაკულტეტის წარმომადგენლის მიერ და მიენიჭება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომერი:

ა) შესაბამისი პროგრამისთვის დადგენილი სარეგისტრაციო ფორმა (დანართი 1);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი, ან არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების

შედეგად მიღებული დიპლომი (რომელიც გათანაბრებული უნდა იყოს მაგისტრის ხარისხთან), ან ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის. უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება/მაგისტრის ხარისხთან გათანაბრების ცნობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ;

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) ფოტოსურათი 3X4–ზე;

ვ) სადოქტორო კვლევითი განაცხადი (დანართი 2) ხელმოწერილი პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ;

ზ) თუ აპლიკანტი ძირითად ენად ირჩევს ინგლისურს და არ გადის ინგლისური ენის გამოცდაზე, უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატიდან ერთ-ერთი (TOEFL(P/B მინიმუმ 513 points; I/BT მინიმუმ 65 points); IELTS (მინიმუმ 5.5 points); FCE) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი - Certus, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე, ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

თ) თუ აპლიკანტი ძირითად ენად ირჩევს გერმანულ ენას (გერმანული ენის ძირითად ენად არჩევა შესაძლებელია მხოლოდ სადოქტორო პროგრამებზე „ფილოსოფია“ და „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“) და არ გადის გერმანული ენის გამოცდაზე, უნდა წარმოადგინოს გერმანული ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატიდან ერთ-ერთი Test Deutsch als Fremdsprache; DSH (Deutsche Sprachprüfung für den Hochschulzugang); ZOP (Zentrale Oberstufenprüfung); KDS (Kleines Deutsches Sprachdiplom); GDS (Grosses Deutsches Sprachdiplom), ან გერმანულენოვანი საბაკალავრო, ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B1 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატიდან ერთ-ერთი (TOEFL(P/B მინიმუმ 437 points; I/BT მინიმუმ 41 points); IELTS (მინიმუმ 4 points); FCE), ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი Certus, ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო, ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ი) აპლიკანტმა, რომელსაც ინგლისურ ან გერმანულ ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის და/ან მაგისტრატურის სრული პროგრამა, უნდა წარმოადგინოს ინგლისურენოვანი ან გერმანულენოვანი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი. საქართველოს ფარგლებს გარეთ ინგლისურენოვანი ან გერმანულენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გაცემული დიპლომით არ დასტურდება, რომ აპლიკანტის მიერ გავლილი პროგრამა იყო ინგლისურენოვანი ან გერმანულენოვანი, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს დიპლომის დანართი ან ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ინგლისურენოვანი პროგრამის ან გერმანულენოვანი პროგრამის გავლის თაობაზე;

3. გერმანული ენის ძირითად ენად არჩევა შესაძლებელია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე „ფილოსოფია“ და „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“. გერმანული ენის არჩევის შემთხვევაში აპლიკანტს მოეთხოვება დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B1 დონეზე უნივერსიტეტში მისაღები ინგლისური ენის გამოცდის შედეგით (მინიმუმ 55 ქულა), ან შესაბამისი მე-2 პუნქტით განსაზღვრული სერტიფიკატებით. ამ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველებმა დოკუმენტების ელექტრონული ფოსტით გამოგზავნისას წერილში უნდა მიუთითონ ენა, რომელსაც მთავარ საგამოცდო ენად ირჩევენ.

4. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია (გარდა იმ პირებისა, რომლებმაც წარმოადგინეს ენის ცოდნის დამადასტურებელი ზემოაღნიშნული ვალიდური დოკუმენტები), ინგლისური ენის B2 და B1 (B2 დონეზე გერმანული ენის ძირითად ენად არჩევის შემთხვევაში) დონეებზე ცოდნის დასადასტურებლად წერილობითი გამოცდა ინგლისურ ენაში ჩაუტარდეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 8 და 11 დეკემბერს, ხოლო გერმანული ენის B2 დონეზე ცოდნის დასადასტურებლად წერილობითი გამოცდა ჩაუტარდეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 11 დეკემბერს. ინფორმაცია გამოცდის დროისა და აუდიტორიის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“ 2023 წლის 7 დეკემბერს.

5. გერმანული და ინგლისური ენების გამოცდის შედეგები გამოქვეყნდეს 2023 წლის 12 დეკემბერს უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“;

6. ინგლისური ენის B1 დონის გამოცდის მინიმალური ბარიერია 55 ქულა. კანდიდატები, რომლებიც ვერ გადალახავენ აღნიშნულ ბარიერს, კარგავენ კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას;

7. გერმანული ენის B2 დონის გამოცდის მინიმალური ბარიერია 55 ქულა. კანდიდატები, რომლებიც ვერ გადალახავენ აღნიშნულ ბარიერს, კარგავენ კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას;

8. დოქტორანტობის კანდიდატმა საპრეტენზიო განაცხადი ინგლისური და გერმანული ენების გამოცდის შედეგის შესახებ უნდა წარმოადგინოს 2023 წლის 13 დეკემბერს, 10:00-დან - 18:00 საათამდე, უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ ფოსტაზე info@iliauni.edu.ge .

9. ინგლისური/გერმანული ენის გამოცდაში მიღებული ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას. პროგრამაზე მიღებისათვის კანდიდატის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება კვლევითი განაცხადისა და ზეპირი გამოცდის კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით.

10. ინგლისური/გერმანული ენის გამოცდის შედეგები აპელაციის გათვალისწინებით გამოქვეყნდება 2023 წლის 15 დეკემბერს უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“.

11. პირებმა, რომელთაც სურთ ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა და არ აქვთ აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში, დამატებით უნდა ჩააბარონ წერითი გამოცდა, რომლითაც შეფასდება მათ მიერ ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებების, მიმდინარეობების, მიმართულებებისა და თეორიების ცოდნა და გააზრების უნარი;

12. მე-11 პუნქტით განსაზღვრული გამოცდა ჩატარდება 2023 წლის 18 დეკემბერს. გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება 2023 წლის 19 დეკემბერს უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში - „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“.

13. დოქტორანტობის კანდიდატმა საპრეტენზიო განაცხადი მე-11 პუქნტით განსაზღვრული გამოცდის შედეგის შესახებ უნდა წარმოადგინოს 2023 წლის 20 დეკემბერს, 10:00-დან - 18:00 საათამდე, უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ ფოსტაზე info@iliauni.edu.ge . გამოცდის შედეგები აპელაციის გათვალისწინებით გამოქვეყნდება 2023 წლის 22 დეკემბერს უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს დადგენილ მინიმალურ ბარიერს (მინიმალური ზღვარი - 18 ქულა), კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.

14. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი კანდიდატების მიერ რეგისტრაციისას წარმოდგენილ სადოქტორო კვლევით განაცხადს 5-ქულიანი სარეიტინგო სკალისა და განსაზღვრული წესის მიხედვით აფასებს შესაბამისი მიმართულების დარგობრივი კომისია.

15. სადოქტორო კვლევითი პროექტის შეფასების მინიმალური ზღვარია 3 ქულა. სადოქტორო კვლევითი განაცხადი დარგობრივ კომისიას ეგზავნება ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო კვლევითი პროექტი კომისიის მიერ შეფასდება 3-ზე ნაკლები ქულით, კანდიდატი კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.

16. სადოქტორო კვლევითი განაცხადის შეფასებები განთავსდება 2023 წლის 25 დეკემბერს უნივერსიტეტის ვებგვერდზე „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“.

17. დოქტორანტობის კანდიდატმა საპრეტენზიო განაცხადი სადოქტორო კვლევის განაცხადის შედეგებთან დაკავშირებით უნდა წარმოადგინოს 2023 წლის 26 დეკემბერს (10:00-დან 18:00 საათამდე) უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ ფოსტაზე: info@iliauni.edu.ge;

18. სადოქტორო კვლევითი პროექტის განაცხადის შეფასებები აპელაციის შედეგების გათვალისწინებით გამოქვეყნდება 2024 წლის 10 იანვარს უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“.

19. სადოქტორო პროგრამაზე მიღების საბოლოო ეტაპზე დოქტორანტობის ის კანდიდატები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს რეგისტრაციის პროცესი, დაადასტურეს ინგლისური/გერმანული ენის ცოდნა პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად, წარმატებით გაიარეს მე-11 პუნქტით განსაზღვრული წერითი გამოცდა და მათი სადოქტორო კვლევის განაცხადი შეფასდა მინიმუმ 3 ქულით, ჩააბარებენ ზეპირ გამოცდას დარგობრივი კომისიის წინაშე.

20. ზეპირი გამოცდა შეფასდება 5-ქულიანი სარეიტინგო სკალისა და განსაზღვრული წესის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი ზეპირ გამოცდაზე შეფასდება 3-ზე ნაკლები ქულით, ის ეთიშება კონკურსს.

21. პროგრამებზე მიღებისათვის სადოქტორო კანდიდატის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება კვლევის განაცხადისა და გასაუბრების კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით.

22. ზეპირი გამოცდა დარგობრივი კომისიის წინაშე ჩატარდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 16, 17 და 18 იანვარს. ინფორმაცია გამოცდის ზუსტი დროისა და აუდიტორიის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“.

23. ზეპირი გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება 2024 წლის 22 იანვარს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“.

24. დოქტორანტობის კანდიდატმა საპრეტენზიო განაცხადი ზეპირი გამოცდის შედეგების შესახებ უნდა წარმოადგინოს 2024 წლის 23 იანვარს (10:00-დან - 18:00 საათამდე) უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ ფოსტაზე info@iliauni.edu.ge . იმ კანდიდატებს, რომლებიც წარმოადგენენ საპრეტენზიო განაცხადს ზეპირი გამოცდის შედეგებთან დაკავშირებით, ექნებათ შესაძლებლობა, ზეპირი გამოცდა გაიარონ შესაბამისი მიმართულების სააპელაციო კომისიის წინაშე.

25. ზეპირი გამოცდა სააპელაციო კომისიის წინაშე ჩატარდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 25-26 იანვარს. ინფორმაცია გამოცდის დროისა და აუდიტორიის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“ 2024 წლის 24 იანვარს.

26. ზეპირი გამოცდის საბოლოო შეფასებები აპელაციის შედეგების გათვალისწინებით და ჩასარიცხ კანდიდატთა ძირითადი სია საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით გამოქვეყნდება 2023 წლის 30 იანვარს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“;

27. დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ გაკეთებული განაცხადი შეიძლება შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული მონაცემები დამუშავდეს სახელმეკრულებო/სასწავლო ურთიერთობების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რა დროსაც შესაძლოა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის პირობებში მოხდეს მათი ნაწილის გასაჯაროება ან მესამე პირებისათვის გადაცემა. დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე მხოლოდ აპლიკანტისთვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით და განთავსებულ იქნას დოქტორანტურის საფეხურზე პირთა ჩარიცხვის

შესახებ ბრძანების გამოცემიდან 32 დღის განმავლობაში. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს ამ პუნქტით განსაზღვრული ვადების დაცვა და კონტროლი;

28. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო საფეხურზე სწავლა ფასიანია უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის.

29. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ამ ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებულ სადოქტორო პროგრამაზე ჩასარიცხი კანდიდატები სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე 2024 წლის 7 და 8 თებერვალს A 303 ოთახში (ი. ჭავჭავაძის გამზირი N32) და თან უნდა იქონიონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის მოწმობა ან პასპორტი (ორიგინალი და მისი ასლი). უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში, პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) ორი ფოტოსურათი (3X4) და ელ. ვერსია ელექტრონულ მატარებელზე (CD);

გ) აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის (ან ხუთწლიანი უმაღლესი განათლების მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული დიპლომის შემთხვევაში, გათანაბრების ცნობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ან ხუთწლიანი უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი ან იმ შემთხვევში თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის, აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა მაგისტრის ხარისხის მინიჭების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი, ხოლო უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ;

დ) ასეთის არსებობის შემთხვევაში, ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარებული სერტიფიკატი (TOEFL(P/B მინიმუმ 513 points; I/BT მინიმუმ 65 points); IELTS (მინიმუმ 5.5 points); FCE) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) – ორიგინალი ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე; ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო, ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, (დიპლომის ნამდვილობა დადასტურებული უნდა იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ).

ე) ასეთის არსებობის შემთხვევაში, გერმანული ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარებული სერტიფიკატი (Test Deutsch als Fremdsprache; DSH(Deutsche Sprachprüfung für den Hochschulzugang); ZOP (Zentrale Oberstufenprüfung); KDS (Kleines Deutsches Sprachdiplom); GDS (Grosses Deutsches Sprachdiplom) ორიგინალი ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, ან გერმანულენოვანი საბაკალავრო, ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი (დიპლომის ნამდვილობა დადასტურებული უნდა იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ).

ვ) გერმანული ენის ძირითად ენად არჩევის შემთხვევაში აპლიკანტმა ასევე უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B1 დონეზე. ამისათვის უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარებული სერტიფიკატი (TOEFL (P/B მინიმუმ 437points; I/BT მინიმუმ 41 points); IELTS (მინიმუმ 4 points); FCE) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი – Certus (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ზ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);

თ) იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტობის კანდიდატის ნაცვლად საბუთებს წარმოადგენს და ხელშეკრულებას აფორმებს მინდობილი პირი, მან თან უნდა იქონიოს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა.

30. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს, 2024 წლის არაუგვიანეს 20 თებერვლისა მიაწოდოს რექტორს იმ პირების სია, რომელთაც გააფორმეს ხელშეკრულება მათი ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოსაცემად;

31. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს;

32. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

33. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი